




წ  
ა  
ს  
ნ  
ა  
ბ  
ი  
ჩ  
ხ  
ც  
ძ  
წ  
ჭ  
ც  
ც

ფილოლოგიურ კვლევათა  
წელიწდული

TSAKHNAGI/FACET annual of philological studies

3  
2011



**TSAKHNAGI**   
 *FACET*

**Annual  
 of Philological Studies**

3  
2011

**Merab Ghaghanidze**   
Editor

Tbilisi • Memkvidreoba • 2011



**წახნაგი**

**ფილოლოგიურ კვლევათა  
 წელიწდული**

3  
2011

**მერაბ ლაღანიძის  
 რედაქციით**

თბილისი • მემკვიდრეობა • 2011



სარედაქციო საბჭო  
შუქია აფრიდონიძე  
(თავმჯდომარის მოადგილე)  
ზურაბ კვიციანი  
დამანა მელიქიშვილი  
ირმა რატიანი  
მერაბ ლალანიძე  
(თავმჯდომარე)

ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი  
"მემკვიდრეობა"

ფონდის საქმიანობას ნივთიერად უზრუნველყოფს  
გიორგი ლეჟავა

ნარკვევი

თამილა მგალობლიშვილი როგორ გახდა მცხეთა ქართველთა ახალი იერუსალიმი	9
ზაზა ალექსიძე გიორგი მთაწმიდლის ქართული ოთხთავის ანდერძები	22
ირმა ყარაულაშვილი ალავერდის ოთხთავში შემავალი აბგარის ეპისტოლის წარმომავლობის საკითხისათვის (ნაწილი I)	36
ნესტან სულავა დავით გურამიშვილის ერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის	64
ქეთევან ბეზარაშვილი, თამარ ლომიძე გრიგოლ ღვთისმეტყველის ციკლი "ბოროტისა მიმართ" და ნიკოლოზ ბარათაშვილის "სულთ ბოროტი": ქართული რომანტიზმის ქრისტიანული წყაროები	79
იუზა ვეგენიძე მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლები კავკასიის ხალხთა შესახებ	91
თამარ პაიჭაძე ავანგარდიზმი ქართულ მწერლობაში: ტენდენცია თუ გენეზისი?	116
ნინო ფირცხალავა ქართული მითოსი ზღვასა და მთას შორის	130
ლევან ცაგარელი მიმეზისი. ერთი ცნების თავგადასავალი (იდეოლოგიურ-კრიტიკული ნარკვევი)	150
კონსტანტინე ბრეგაძე ნოვალისი და სოფია: სიყვარულის არსის ჰერმენევტიკა გერმანულ რომანტიზმში	165

<b>ნინო დობორჯგინიძე</b> სიტყვა, კონტექსტი და მნიშვნელობის კონსტრუირება (სიტყვის კვლევის ისტორიისათვის ძველ ქართულ ფილოლოგიაში)	180
<b>ნიკოლოზ ალექსიძე</b> ადრეული ბერმონაზვნობა ამიერკავკასიაში: ტიერმინოლოგიური პრობლემები	195
<b>სალომე ოშიაძე</b> ბანტინის, კრისტეფასა და ჰირშის კონცეფციები და თანამედროვე ტექსტი	208
<b>მარინე ბერიძე</b> კორპუსული ლინგვისტიკა და თანამედროვე ინტერდისციპლინარული მატრიცა	216
<b>მანანა კობაიძე</b> მედიაოქტიური ზმნების ფორმა და მათი ბრუნვაცვალებადი ობიექტის თავისებურება	237
<b><u>ლექცია</u></b> <b>გურამ ლებანიძე</b> ფილოლოგიის შესავალი: <i>ლექციები 8-9</i>	263
<b><u>პუბლიკაცია</u></b> <b>ვასილ კირვალაძე</b> აკაკი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და კომენტარები დაურთოთ <i>თამაზ ჯოლოგუამ</i> )	275
<b><u>მასალა</u></b> <b>აკაკი ბაქრაძე</b> ქართველი ფუტურისტები	311
<b>ბელა წიფურია</b> რეფლექსია ქართულ ფუტურიზმზე და აკაკი ბაქრაძის ჩანაწერები	315
<b>რუსუდან დაუშვილი</b> მესტამზე დავით ხელაძე და “დედა-ენა“ პარიზში	320

<b><u>პორტრეტი</u></b> <b>სოსო ტაბუცაძე</b> ენისმოქმედი: თამაზ ჩხენკელი	329
<b><u>გამონმარება</u></b> <b>მერაბ ლალანიძე</b> ათონის ქართული მონასტრის ალაპების დაგვიანებული გამოცემა [ნიკო ბერძენიშვილი, ათონის ივერთა მონასტრის ალაპები, 2007]	335
<b>თემურ ჯაგოდინიშვილი</b> ხალხური პოეზიის ახალი კრებული [ხალხური პოეზიის ანთოლოგია, 2010]	345
<b>მირანდა ტყეშელაშვილი</b> მხატვრულ-ბიოგრაფიული ტექსტები XIX საუკუნის საქართველოს გასაგებად [იონა მეუნარგია, თხზულებანი, ტ. 1, 2010]	351
<b>მანანა კვატია</b> ტექსტოლოგიურ ინოვაციათა სამყაროში [ჯულიეტა გაბოძე, აკაკის თხზულებათა გამოცემები, 2009]	361
<b>გაგა ლომიძე</b> ტოტალიტარული გამოცდილების “მტანჯველი მოგონება” [ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი, 2010]	370
<b><u>ახალი წიგნები</u></b>	375
<b><u>ავტორები</u></b>	379

**ნინო დობორჯგინიძე**

**სიტყვა, კონტექსტი და მნიშვნელობის კონსტრუირება**

(სიტყვის კვლევის ისტორიისათვის  
ძველ ქართულ ფილოლოგიაში)

წინამდებარე სტატია ეხება ძველი ქართული მეტატექსტების ერთ ნაწილს, რომელშიც მთარგმნელები ტექნიკურ (ცნებითი ენა, სპეციალური ტერმინები) და იმპლიციტურ (მეტაფორები) დონეზე განიხილავენ სიტყვის, მისი სახეობრივი ზედაპირის, კონკრეტულ კონტექსტში მისი მნიშვნელობისა და სხვადასხვა სიბრტყეზე ახალი მნიშვნელობის კონსტრუირების საკითხებს. მთარგმნელთა მეტატექსტები სტატიაში გაანალიზებულია გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ტექსტის თეორიის ბერძნულ-ლათინურ ტრადიციასთან მიმართებით.

ქვემოთ განხილულ მაგალითებთან დაკავშირებით ბუნებრივად დაისმის კითხვა: რამდენად ვალიდურია ისინი სხვადასხვა დონეზე სიტყვის კვლევის თანამედროვე კონტექსტში, ანუ ლექსიკოლოგიისა და, ზოგადად, ტექსტოლოგიისათვის, რამდენად განაპირობებდა ეგზეგეტიკაში სიტყვის კვლევას ფილოლოგიური ინტერესი? ამ საკითხების გასარკვევად უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ ამ მეთოდის გენეალოგია, არამედ ისიც, რა მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულად შეპირობებულ ამ მეთოდს კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში.

დავიწყებ მეთოდის გენეალოგიით. სიტყვის, განსაკუთრებით კი მისი კონტექსტუალური მნიშვნელობის კვლევა არისტარქესგან იღებს სათავეს. სწორედ მან განავითარა ყველა დროის ეგზეგეტიკის აქსიომა, რომ ამა თუ იმ მწერლის განმარტება შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი თავიდან გამომდინარე, თავისივე მწერლობის მიხედვით. ეს აქსიომა პორფირიუსის ფორმულით არის ცნობილი: "Ὁμοίον ἐξ Ὁμοίου σαρπειλέιν (ჰომეროსი ჰომეროსისგანვე განიმარტება)".<sup>1</sup> ამ ამოსავალი თეზით

1 პორფირიუსის ამ სენტენციის, ზოგადად, ჰომეროსის კვლევის ფილოლოგიური მეთოდებისა და მათი რეცეფციის შესახებ გვიანანტიკურობასა და შუა

სიტყვის კვლევა კონკრეტულ მწერალთან მისი გამოყენების კვლევას დაეფუძნა.

სიტყვის, კონტექსტისა და სხვადასხვა დონეზე მნიშვნელობის კონსტრუირების შემოტანა ეგზეგეტიკაში, ისევე, როგორც ზოგადად ტექსტის კვლევისა და ანალიზისა, ორიგენეს სახელს უკავშირდება. ბიბლიის კვლევას ორიგენემ საფუძვლად დაუდო, ერთი მხრივ, ჰერმენევტიკული და, მეორე მხრივ, ფილოლოგიური კონცეფცია: ღვთის სიტყვა მთელი თავისი სრულყოფილებით კი არ ვაცხადდება, არამედ ჩვენი შემეცნებისთვის მისაწვდომი ფორმით, ლიტერატურული გზით, ანუ ენის სიტყვის მეშვეობით.<sup>2</sup> არისტარქეს აქსიომა ორიგენემ მეთოდოლოგიურად დაუკავშირა ქრისტეს შეგონებას: „გამოიძიენ წერილი“ და სათავე დაუდო ბიბლიის სიტყვის კვლევას კონკრეტული კონტექსტის სხვა კონტექსტებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე.<sup>3</sup> ეს უკანასკნელი კი, როგორც ბიბლიის განმარტების, უფრო ზუსტად, მისი ერთიანობის დამამტკიცებელი მეთოდი, აქტიურად გამოიყენებოდა შუა საუკუნეების სხვადასხვა ტრადიციისა და მათ შორის ქართულ ლიტერატურულ პრაქტიკაში.

ბიბლიისა და, ზოგადად, თეოლოგიური ტექსტების ძველი ქართული თარგმანები, გარკვეული თვალსაზრისით, სინკრეტულია: აერთიანებს სხვადასხვა ეპოქისა და ტრადიციის მორალურ-ეთიკურ, ესთეტიკურ და ენობრივ-გამომსახველობით კონცეპტებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო გამოხატვის სემიტიურ-ალმოსავლური, სახეობრიობით გამორჩეული ტრადიცია და ელინისტური, სისტემატიკასა და ცნებით დიფერენცირებაზე ორიენტირებული მოდელი.<sup>4</sup>

საუკუნეებში იხ. Dörrie 1966; Dörrie 1974: 121-138; Edwards 2007: 111-126; Schlunk 1993.  
 2 ბიბლიის კვლევის ჰერმენევტიკულ-ფილოლოგიური ტრადიციისა და მეთოდების შესახებ გვიანანტიკურობასა და შუა საუკუნეებში იხ. Dörrie 1974; Jones 1945: 433-442; Englisch 1994; Lubac 2000; Neuschäfer 1987 (I, 2); Schlieben 1974; Schäublin 1992: 132-173; Schäublin 2005; Stead 1992: 174-189.  
 3 მაგალითად, ქება ქებათას კომენტარში (III, 196, 25 f) მყარი შესიტყვებების (მარჯვენე უფლისა, მარცხენე უფლისა) განმარტებისას ორიგენე ყვრდნობა მათი ხმარების კონტექსტუალურ თავისებურებებს. კონტექსტებისა და შედარებითი ანალიზის შესახებ იხ. Göglér 1963: 42-46.  
 4 სემიტიურ-ალმოსავლური კონცეფცია სახეობრივია, კონკრეტული სურათებითა და სახეებით მეტყველებს, ისტორიულია, მიმართულია დროსა და მოძრაობაზე, ორიენტირებულია მთლიანზე და არა ცნებით დიფერენცირებაზე. ფილოსოფიასა და რიტორიკაში გაწაფული ბერძნული კი სიტყვაში (და არა სურათში) გადმოსცემს ლოგოსს, აბსტრაქტულს, სტატიკურს და არაპერსონიფიცირებულს, შესაბამისად, ზედროითია და არაისტორიული, ლოგიკასა და სისტემატიკაზე დაფუძნებული. იგი ცნებათა წყვილებით ოპერირებს: ერთგვაროვნება და მრავალფეროვნება, ინდივიდი და კოლექტივი, დრო და უდროობა, სინამდვილე და მოჩვენება, მატერია და ფორმა. გამოსატყულების ებრაული და ბერძნული მოდელების შესახებ იხ. Barr 1967, აქ: გვ. 30.

ებრაული სახეობრიობისა (ძველი ქართული ტერმინოლოგიით, „სახე-მოდებით, გუმევით, სახისმეტყველებით თქუმაჲ“) და ბერძნული ცნებითი ენის (შდრ. „თუსაგან განკუთნვილი სახელი“<sup>5</sup>, ანუ ტერმინი, ზოგადად, „გონიერთა ხედვათა მომმარჯუე“ [ენა])<sup>6</sup> გადმოტანა თარგმანში ურთულესი ამოცანის წინაშე აყენებდა ბიბლიის ძველი ქართული რედაქციების მთარგმნელებს, რომელთაც, ცხადია, პირველ ეტაპზე ვერ ექნებოდათ საგანგებოდ შემუშავებული მთარგმნელობითი მეთოდი; სავარაუდოდ, ისინი ინტუიციით თარგმნიდნენ — ცალკეული შემთხვევებისთვის სპონტანურად არჩევდნენ ორიგინალის ეკვივალენტს.<sup>7</sup>

პირველ მთარგმნელთა საქმიანობა X-XI საუკუნეებიდან სისტემურ ხასიათს იღებს: სათარგმნი ტექსტის მიმართ სპონტანური, ინტუიციური დამოკიდებულება თანდათან იქცევა სტანდარტიზებულ, საგანგებოდ შემუშავებულ წესებზე დაფუძნებულ საქმიანობად. სწორედ აქედან იწყება ქართული ფილოლოგიის ისტორია, ტექსტის ინტერპრეტაციის, კვლევისა და გამართვის „Техн“, რომლის თეორიული საკითხები, მათ შორის, კონტექსტუალური, ძირითადი თეორიებითი ანალიზის მეთოდი, საგანგებოდ დამუშავდა ძირითად ტექსტზე დართულ კომენტარებში (წინაპტყ, თავისა და ბოლოჲსა ანდერძი, შეისწავენი და განსაზღვრებაჲ განჩინებითურთ და სამეცნიეროჲ ესე),<sup>8</sup> ანუ X-XII საუკუნეების მეტატექსტებში.

ქვემოთ განვიხილავ ამ ტრადიციის ტიპურ მაგალითებს. ძველ ქართულ ეგზეგეტიკურ კრებულებში შედარებითი ანა-

5 სიმბოლურ-ალეგორიული, ზოგადად, ტროპული მეტყველებისა და ცნებითი ენის აღმნიშვნელი ეს ტერმინები დამოწმებულია XII-XIII საუკუნეების კატენური კრებულის მიხედვით სიტყუანი ფსალმუნთანი, შემოკრებით თარგმანთაგან გამოკრებული მრავალთა წაგნთაგან (შემდგომში — ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება), იხ. დობორჯგინიძე 1996 (1, 2); ტერმინთა შესახებ იხ. დობორჯგინიძე 1998: 126-135.

6 იოვანე პეტრიწი, პროკლე დიაკონოსისა პლატონურისა ფილოსოფიისა კავშირნი იხ. ყაუხჩიშვილი 1940:107. პეტრიწის მიერ დამკვიდრებული „გონიერთა ხედვა“ ეგზეგეტიკის ცნებითი ენის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ტერმინის იქ შეიძლება იქნას ქართული ეკვივალენტი.

7 პირველი თარგმანების ხასიათის შესახებ იხ. ხარანაული 2005; აქ გვ. 36. როგორც ირკვევა, ტექსტუალური კრიტიციზმის მეთოდოლოგიით ბიბლიის ხანმტეი ვერსიების ანალიზი მთლიანად ცვლის ბიბლიის უძველეს ქართულ თარგმანთა დათარიღების, მათი სავარაუდო დედნებისა და მთარგმნელობითი პრინციპების შესახებ აქამდე გაზიარებულ თვალსაზრისებს. ვეგრდნობი ა. ხარანაულის მიერ 2011 წლის აპრილში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ელენე მეტრეველის სემინარზე: წაკითხულ მოხსენებას, ტექსტი, თარგმანი, თარგმანება, — რომელიც ამჟამად იბეჭდება.

8 ეფრემ მცირე, ზანდუკი და შესავალი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების გარდამოცემაჲ, თქუმილი წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე დამასკელისა, ხელნ. A. 24, 1r-4v. იხ. თვალთვამე 2009: 200.

ლიზის მეთოდი ტერმინოლოგიზებული ჩანს: დახედვა ჯერ-არს ამას, დახედვა უნდა [...] შდრ. ფსალმ. 54, 1: „ყოვად-ილე, ღმერთო, ლოცვისა ჩემისაჲ და ნუ უკულებელს-ყოფ ვედრებასა ჩემსა. მომხედენ და შეგესემინ ჩემი. პირველ თქუმილ არს ამისთვის მეორესა მუგლსა ორმეოცდამეათსამეტისა ფსალმუნისასა. ხოლო დახედვა უნდა ამას, რომელ მეათექუსმეტესა ფსალმუნსა შინა წინაუკმოდ არიან სიტყუანი ესე. რამეთუ მუნ პირველად იტყვს: შეისმინენ, და მერმე — მოხედენ და უკუანაჲსკნელლა — ყურად-ილე. ვიდრელა ცხად არს, რომელ არცა ერთი რაჲ განყოფილებაჲ აქუს სიტყუასა ამას“. ფსალმ. 60, ზედა-წარწერილის განმარტება: დასასრულსა, ქებათათჳს. ხოლო უნდა დახედვა ამას, რამეთუ სადა ქებად ოდენ იტყვს წერილი, პირითა ოდენ იქებოდა, ხოლო სადა წერილ არს ქება ვალობისა, ორდანთა მიერ და სხუათა რათემ ვმა-ჰამოვნებათა იქებოდა საგალობელი იგი. ფსალმ. 73, 11: რად გარე-მოიქცევ კელსა შენსა და მარჯუენესა შენსა სრულიად? დახედვა ჯერ-არს სრულიადსა, თუ ვითარ მრავალგან ძეს ფსალმუნსა ამას შინა, რომელი გამოაჩენს სამარადისოდ განყრასა ჰურიათასა“.<sup>9</sup>

შედარებითი ანალიზის სხვა მაგალითები: ფსალმ. 68, 20: „და მცეს საჭმლად ჩემდა ნავლელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი. იტყვს მახარებელი იოვანე, ვითარმედ: შემდგომად ამისა იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღესრულა, რაითა აღესრულოს წერილი. თქუა: მწყურის. დგა მუნ ჭურჭელი ძმრითა სავსე. ხოლო მათ აღავსეს ჭურჭელი ძმრითა და უსუსა დაადგეს დ მიუპყრეს პირსა მისსა. ამას სიტყუასა უწოდა წერილად მოციქულმან და მათე იტყვს, ვითარმედ: მისცეს მას სასმელად ძმარი ნავლითა განზავებული. და კუალად მარკოზ: მირბოდა ერთი და აღავსო ღრუბელი ძმრითა, დადგა ლელწამსა და ასუმიდაო. ხოლო შეჰგავს, რომელ სხუამან ნავლელი მთართუა ბასრობით და სხუამან — ძმარი, და სხუამან — აღრეული“. ფსალმ. 73, 17: შენ შეჰქმენ საზღუარნი ქვეყანისანი. წელიწდეულნი ნაყოფნი, რამეთუ საზღუარ წელიწადი არს. ხოლო ვიეთნიმე საზღუარისა წილ მთათა სწერენ, გარნა საზღუარი უმართლეს არს, და ესე ცხად არს შემდგომისაგან მუგლისა: შენ დაჰბადე ზაფხული და არეჲ. ესე მოიგსენე. და რამეთუ ესენი არიან საზღუარ, ვინაჲთგან არე მშობელი არს, ხოლო ზაფხული — დამასრულებელი. ფსალმ. 6, 6: დაგშუერ სულთქუმითა ჩემითა, დავბანო მარადლამე ცხედარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტო. დაგშუერ აქა

9 შდრ. ბერძნული ἄνευ ἰδὸς [π].  
10 ამ კატენური კრებულის მხოლოდ ერთი ნაწილია გამოქვეყნებული, იხ. დობორჯგინიძე 1996 (1, 2). მაგალითები დამოწმებულია სადისერტაციო ნაშრომის მიხედვით. იხ. დობორჯგინიძე 1998: 119-120.

ნაცვალად ამისა დადებულ არს თუ: *დავშურე*, რომელი-ესე არს სიტყუა წინამდებარეთა ჟამთათს აღმოთქუმული მოლუაწე-ბისაჲ; და შემდგომნი იგი სიტყუანი უცხადესადრე წარმოაჩინებენ ამისსა დაფარულებასა. რამეთუ არა იტყვს, თუ: *დავბანე*, არცა ვითარმედ: *დავალტვე*, არამედ აღთქუმასა ჰყოფს, რაჲთა დაბანოს ცხედარი მარადის ცრემლითა დაალტოს სარეცელი თვისი, ესე იგი არს, იყოს მარადის მჭმუნვარე".<sup>11</sup>

კონტექსტუალური ანალიზის მაგალითები განსაკუთრებით ბევრია ეფრემ მცირის მთარგმნელობით კომენტარებში. ეფრემი საგანგებოდ სწავლობს სათარგმნი ტექსტის სიტყვას, ფრაზას მათი გამოყენების კანონზომიერებათა გათვალისწინებით და მხოლოდ ამის შემდეგ შეარჩევს ორიგინალის ეკვივალენტს. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიაში *მეერგასისათვის და სულისა წმიდისათვის* ავტორი საუბრობს რიცხვი შვიდის შესახებ და მოჰყავს ბიბლიიდან მაგალითები, რომლებიც „წამებენ პატივისათვის შუდისა“ (მდრ. კაენ შუდგზის დაისჯების, [...] შუდგზის დღესა შინა ღმერთი იქების, [...] შუდეულსა პატივსცემენ ებრაელთა ყრმანი“ და ა. შ.). ეფრემს შეუნიშნავს,<sup>12</sup> რომ ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში ამ მაგალითებს შორის მოხსენიებულია ელიაც, რომელიც, თითქოს, არა სამგზის, როგორც ეს ბიბლიაშია (I მეფეთა, 17, 17-21), არამედ შვიდგზის „შეიკუნდა“. ეფრემი ერთ-ერთ კომენტარში საგანგებოდ აღწერს მის მიერ ჩატარებული კონტექსტუალური კვლევის მეთოდს:

„შეისწავე, რამეთუ ესე შუდმოქცევაჲ ელიაჲსი არცა საწინასწარმეტყუელოთა შინა იპოების და არცა ზოგთა ღმრთისმეტყუელთა. ვინაჲცა სამიებელ არს, თუ სადაჲთ მოღებულ არს ამისა შუდ მოქცევაჲ ელიაჲსი, რომელი მე მას დედასა, რომლისაგან ვთარგმნენ ესე ღმრთისმეტყუელისა საკითხავნი, ესრეთ ვპოე, ვითარმედ *ვითარ-იგი საიდუმლოდ სამშობებრვასაცა ელია წინაჲსწარმეტყუელისასა* და ეგრეთვე მითარგმნია სიტყუაჲ ესე, ვითა მუნ ვპოენ. რამეთუ ელისესთს ოდენ წერილ არს საწინასწარმეტყუელოსა შინა შუდგზის მოქცევაჲ, რომლისა თანა შუდგზის შეიკუნდა. ხოლო აქა კულა ესრეთ ვთარგმნე, ვითა ვპოე და ესრეთვე სხუათაცა ზოგთა ღმრთისმეტყუელთა იპოების ბერძულად და მამასა ეფთჳქმეს ეგრეთვე უთარგმნია, შემინდევით“.<sup>13</sup>

11 იქვე, იხ. დობორჯგინიძე 1998: 107, 120-121.

12 ეფრემის ეს კომენტარი ვრცლად აქვს განხილული დ. თვალთვაძეს. იხ. თვალთვაძე 2009: 120-123.

13 გრიგოლ ნაზიანზელი, მეერგასისათვის და სულისა წმიდისათვის, ეფრემ მცირის თარგმანი. ხელნ. Ieruss. 43, 231r. ამ კომენტარის ტექსტის და განმარტება იხ. თვალთვაძე 2009: 120-122.

კონტექსტუალურ ანალიზს მთარგმნელ-რედაქტორები უფრო ზოგადი, კონტექსტსმილმა მნიშვნელობების გაგებასთან, ორიგინალისა და სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანების ტიპოლოგიურ კვლევასთან, სხვადასხვა ტრადიციის დამკვიდრებული არაზუსტი იკითხვისების ახსნასთან მიჰყავს. მდრ. „თითო-სახედ იპოების ნაწერი სიტყვას ამის წიგნთა შინა ბერძენთასა, რომელი აქა ველად ითქუმის. რამეთუ სხუათა შინა ესრეთ წერილ არს, ვითარმედ: *ისპედან* (ἐξ παρθ[ε]ρας), რომელი სწავლასა გულისცემა-ჰყოფს, ოდეს ნარი მიჰხუდეს ბოლოსა და ითარგმანების ვითარმედ, სიტყუა ღმრთისა სწავლად და მოძღურებად კაცთა გამოვიდეს. ხოლო სხუათა შინა თვნიერ ნარისა ესრეთ, ვითარმედ: *ისპედა* (ισπ[ε]δα), რომლითა ველი წარმოიჩინების“ (მოსეს გალობის განმარტება).<sup>14</sup>

ფსალმ. 16, 14: *განძღეს ჭამადითა მათითა, დაუტევეს ნეშტი მათი ყრმათა მათთა* (καὶ τὴν κερύματάν σου ἐπίθηθη ἢ γαστήρ αὐτῶν, ἐχιδνάθησαν ἰσὼν καὶ ἀφῆκαν τὰ κατάλοιπα τοῖς νηπίοις αὐτῶν). ფსალმუნის ამ მუხლს ერთ-ერთ ხელნაწერში ასეთი კომენტარი ახლავს: „არა ვითარ-იგი რომელნიმე ჰგონებენ, ვითარმედ საჭმელსა ღორისასა შეასმენს აქა გალობის მომცემელი, რამეთუ არაჲა შემავალი შეაგინებს კაცსა; არამედ ძესა იტყვს. და ეგრეთვე ჰებრაელსაცა გამოჩინებულად წერილი ვპოვეთ, რამეთუ ბანინ წერილ არს სიტყუასა მას ჰებრაელთა შორის გალობასა, რომელი შულად ითარგმანების. არამედ მათ შეასმენს, ვითარცა ჯეკმა უმეცართა, რამეთუ შულები ღვთისა მიერ მოელო სიმრავლედ და არათუ სათნოებაჲ რამე დაუტევეს, არამედ ნეშტი იგი სიბოროტისა მათისაჲ სამკვდრებელისა წილ მისცეს მათ. ხოლო გამოცხადებაჲ ზემოწერილისაჲ მის არს ესრე: ბერძულსა ენასა ღორისაჲ სახელი და ვითარცა თქუა კაცმან ძებითაო შეტყუებულად საცნობელ არს, რამეთუ ღორისასა ვონ (νός, νός, νόσιον) ჰქვიან, და ვითარცა ვინ თქუა ძებითაო, ვიონვე (νός, νόσιος) ჰქვან. და მის გამო მრავალთა თარგმანთა სომეხთაცა და ქართველთაცა რომელთამე ღორისად უთქუამს და რომელთამე იგი სიტყუაჲ რეცა სატოხე უჩნდა და ზე სიტყუაჲ იკუმის და ჭამად გამოთარგმანეს სომეხთაცა შორის და ქართველთაცა შორის. ხოლო ჩუენ ღუთისა მოწყალეებითა ისჯვის ნეტარისა, რომელი ხუცეს ყოფილიყო წმიდისა იერუსალიმისა ეკლესიასა, რომელმან ხუცესი დაავითი გამოთარგმნა უთხად წიგნად სავსედ მისსა თარგმნილსა წიგნსა შინა, ესრე სახედ ვპოვეთ, ვითარცა-ესე დაგწერეთ კრძალულად“.<sup>15</sup>

კონტექსტუალური ანალიზის მაგალითები უმეტესად კომპლექსურია; სიტყვის, კონტექსტისა და მნიშვნელობის კვლევას

14 ხელნ. S 1472: 382, იხ. დობორჯგინიძე 1998: 60.

15 ხელნ. A. 910, 217v.

არა იმდენად ფილოლოგიური, არამედ პერმენევიკულ-თეოლოგიური მიზანი აქვს. ფილოლოგიური მხარე კვლევის მხოლოდ პირველი, „თხრობისაებრი“, ზედაპირული პლანია და ეგზეგეტიკაში მისი შემოტანა, როგორც ზემოთ ვთქვი, ბიბლიის ე. წ. ლიტერატურულმა ისტორიამ განაპირობა. ბიბლიურ წიგნთა ავტორები, წინასწარმეტყველები, პირველ რიგში, ლიტერატორები, მწერლები არიან, <sup>16</sup>მათ ენობრივ-სტილურ და მხატვრულ-ლიტერატურულ საშუალებებს პოეტების თხზულებებსავით სჭირდება რეალ-ისტორიული, „თხრობისაებრი“ განმარტება, <sup>17</sup> ვინაიდან რელიგიურ-თეოლოგიური საკითხების გაგება დისციპლინარული ცოდნის, განსაკუთრებით ლიტერატურული ტექსტის კვლევისა და ანალიზის გარეშე შეუძლებელია. ბიბლიის, საზოგადოდ, რელიგიური ტექსტის გაგებისა და ანალიზის აუცილებელმა პირობამ, რომელიც ანსელმ კენტერბერიელის თეზით არის ცნობილი (შდრ. *Fides querens intellectum*), მთლიანად განსაზღვრა შუა საუკუნეების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, როგორც თეოლოგიის მომხაზურე დარგების, ფუნქცია.<sup>18</sup>

როგორც იესო ქრისტეში განკაცებული ღმერთი, მის შესახებ „თქუმულიც“ ანუ სიტყვა, სახელი, ორმაგი ბუნებისაა; წინასწარმეტყველებმა თავიანთი მისტიკური ცოდნა ანთროპომორფული საშუალებებით, ტროპული მეტყველებით გამოხატეს. ამიტომაც საუბრობენ ღმერთის ხელის, ფეხისა თუ ყურის, ღმერთის დაჯდომის, მისი მოძრაობის, რისხვის ან სხვა ადამიანური თვისებების შესახებ. შდრ. *Και πρῶτον λεχτέον, ὅτι ἄσπερ ὀφθαλμοὺς καὶ βλάφαρα καὶ ἄνα, χεῖρας τὴν καὶ βραχίονας καὶ πόδας εὐρίσκοντες γεγραμμένα τοῦ θεοῦ, ἐτι δὲ καὶ πτέρυγας, μεταλαμβάνομενον εἰς ἀλληγορίαν τὰ γεγραμμένα, καταφρονούντες τὸν μύθον ἀνθρώπων, παραπλήσιον περιτιθέντων τῷ θεῷ καὶ εὐλόγως γὰρ τοῦτο πραττόμεν, οὕτως καὶ ἐπὶ τῶν εἰρημένων ὀνομάτων τὸ ἀκόλουθον ἡμῖν ποιητέον καὶ δῆλον γὰρ ἅπὸ τοῦ φαινομένου, ἡμῖν πρακτικώτερον. [...] 'Ἄλλ' ἔστω καταχρηστικῶς λέγεσθαι τὸ χεῖρου-γεῖν, ἢ τροπικῶς. [...] καὶ χεῖρας αὐτοῦ ἔσπεσαν τὸν οὐρανὸν καὶ εἰ τι τοῦτοις εἰρηται παραπλήσιως τροπολογοῦντων ἡμῶν χεῖρας καὶ μέλη τοῦ θεοῦ [...] λέγεται δὲ χεῖρας καὶ πόδας καὶ ὄσση αὐτοῦ [...] ἀλλὰ οὐδὲ ὀνομα αὐτὸν ἔστιν, οὐδὲ φωνή [...] σωματικῶν μελῶν ἐπὶ τῶν δυνάμεων τοῦ θεοῦ λεγόμε-*

16 შდრ. პიერონიძე დავითის ნამდვილ ლირიკოსს უწოდებს და სიმონიდესა და პინდარეს ადარებს მას: David, Simonides noster, Pindarus et Alcaeus, Flaccus quoque, Catulus et Serenus, *Christum lyra personat et in decacordo Psalterio ab inferis excitat resurgentem*. Hieronymus, *Epistula* 53, ობ. Hieronymus / Hilberg 1996, 53, 8, 17.

17 „თხრობისაებრი“ ძველ ქართულ ტრადიციაში რეალ-ისტორიული განმარტების აღმნიშვნელად დამკვიდრებული ტერმინია, იგი შეესაბამება ბერძნულ ტერმინს *ἐξ ἱστορίας*. ობ. დობორჯვინიძე 1998: 126-135; Djoborjiniძე 1999: 91-99.

18 რწმენისა და დისციპლინარული ცოდნის მიმართების შესახებ ობ. Jori 2005: 197-210.

να, φησιν. Εἰπερ ἀνθρώπων ὁμοίωται κατὰ τὰς τοῦ εὐαγγελίου παραβολὰ ὁ θεὸς δὲ τὴν ἀκόλουθον ταῖς ταῖς παραβολαῖς, οὐ παραδέχεται παραβολὴν εἶναι τὴν ὀργὴν καὶ τὸν θυμὸν καὶ τὴν μεταμελείαν καὶ τὴν ἀποστροφὴν τοῦ πρῶτον καὶ τὴν ἀπίστην καὶ τὴν στάσιν καὶ τὸν περίπατον τοῦ θεοῦ. τὸν γὰρ ἀναγεγραμμένον ἐν ταῖς προφητεῖαις ἕπνον αὐτοῦ ἦτοι οὐ παρετήρησαν ἢ ὁμοιοτήτουσιν εἶναι παραβολὴν.<sup>19</sup>

ორიგენეს ეს თეზა უდევს საფუძვლად ეფრემ მცირის „შეხედულებას სიტყვის სახეობრივი ზედაპირისა („თხრობისაებრი“ სიბრტყე) და მისი გადატანითი („სახემოლებითი“ სიბრტყე) მნიშვნელობის შესახებ. ამგვარი გადატანა წმინდა წერილისთვის დამახასიათებელი ენობრივ-სტილური ნიშანია (შდრ. „წეს არს წერილისა, თეს არს წერილისა, მეყსობისაებრ წერილისა, ჩუეულებისაებრ წერილისა“) — ღმერთის ძალა და მოქმედებები გამოიხატოს ადამიანის სხეულის ნაწილების საშუალებით; მაგრამ ის, რაც „თხრობისაებრ“ ითქუმის, „კუმევით, სახისმეტყველებით“ უნდა გავიგოთ. შდრ. „ხოლო ესეცა ცხად არს, ვითარმედ უზეშთაეს არს განმარტებით თარგმნაჲ სახისმეტყველებით თარგმნისასა: რამეთუ ყოველსავე მუგლსა სახისმეტყველება შესაძლებელ არს არა ერთსახედ ოდენ, არამედ მრავალსახედცა, ხოლო იგივე განმარტებაჲ არა ხოლო შეუძლებელ არს, არამედ საცთურებაჲცა; ვითარ-იგი არიან ღმერთისათჳს თქუმულნი: დამინებაჲ და განლძებებაჲ, ჯდომაჲ და აღდგომაჲ, რისხვაჲ და გულისწყრომაჲ, დავიწყებაჲ და მოვსენებაჲ. [...] ესე ყოველნი ნებანი [...] არიან [...] ბუნებოანი [...] უნივთო არს და უვნებელ და უქცეველ ყოველსა შინა. და კუალად გესმოდინ რაჲ ველნი და ფერგნი ღმრთისანი, თუალნი და გული, უწყოდე, ვითარმედ ამისსაცა გულისკმისყოფასა სახისმეტყველებაჲ უკმს და არა განმარტებაჲ, ვინაჲთგან არარაჲ გორციელთა და ზრქელთაგანი იპოების უჯორცოსა მას თანა და უხილავსა.“<sup>21</sup>

რეალურ-ისტორიული, „თხრობისაებრი“ განმარტების ძალა ქრისტეს დაბადებით დაძველდა,<sup>22</sup> იმისათვის, რომ ახალ აღთქმასთან დაძველებული აღთქმის კავშირი დავინახოთ, ამ უკანას-

19 Origenes, *IoCo* XIII, 21; Origenes, *MtCo* XVII, 17, 636.

20 ბიბლიის ენისთვის დამახასიათებელი თავისებურებების აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინების შესახებ ობ. დობორჯვინიძე 1998: 11-125.

21 უწყებაჲ მიზეზსა და ვითარებასა, და თხრობაჲ წესსა და საკმარებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ. ობ. შანიძე 1968: 82.

22 შდრ. „ხოლო აწ განთავისუფლებულ ვართ შჯულისა მისგან და მოკვედით, რომლითა-იგი შეკერობილ ვიყვენით, რაჲთა ვპმონებდეთ ჩუენ განახლებულითა სულითა და არა დაძველებულითა წიგნითა“ (პრომ. 7, 6); „რომელმან-იგი შემღებელ გუგუნა ჩუენ მსახურებად ახლისა შჯულისა, არა თუ წიგნითა, არამედ სულითა, რამეთუ წიგნმან მოაკუდინის, ხოლო სულმან აცხოვნის“ (11 კორ. 3,6).

კნელის ალეგორიულობა უნდა ვაღიაროთ.<sup>23</sup> ტექსტი, რომელიც ამბავს გვიყვება, არის ფუნდამენტი, რომელსაც მისი განმარტება უნდა დაეფუძნოს.<sup>24</sup> ყველაფერი, რასაც სიტყვა პირდაპირი გზით გადმოსცემს, ქმნის სურათს, ხილულ, სხეულებრივ წარმოსახვას, ისტორიას. ეს ისტორია, მაგალითად, ასურთა ტყვეობის ამბავი, რეალურია, ნამდვილად მოხდა, სარწმუნოა, მაგრამ მისი მიზანი წარსულის ხსოვნა კი არ არის, არამედ იმის ჩვენება, რა მნიშვნელობაც ამ წარსულს ჩვენთვის აქვს: ასურთა ტყვეობის ამბავი ჩვენი ყოფაა, ჩვენ ხშირად ვართ ტყვეობაში. ისტორია კი, რომელიც ალეგორიულად მეტყველებს (შდრ. Origenes, IoCo XX 10, 337, 31: μετὰ ἀλληγορίαν λέγει, μετὰ τριπολογίαν, μεταφορεῖ), სახეობრივად გადმოსცემს ტყვეობის არსს. ამ თვალსაზრისით ბიბლიის სიტყვა ომონიმურია, მისი ერთი პლანი ემპირიული, „თხრობისაებრს“ აღნიშნავს, მეორე კი — მისტერიალურს, საკრამენტალურს (შდრ. Origenes, CC, V, 29, 31, 4; 31, 20: ἐν ἱστορίᾳ τῶν εἰρημῶνα. [...] ἐν ἱστορίᾳ οὐχ ἁπλῶς, ἐχούσης μὲν τὴν καὶ ἀπὸ τῆς οὐσίας). ეს ორმაგი აზრი — თხრობისაებრი და სახეობრივითი — განასხვავებს მას ლიტურატიურული გზით გადმოცემული ამბებისგან, ნაწარმოებებისგან, ვინაიდან სახელის,<sup>25</sup> ანუ ბიბლიის სიტყვის მეორე პლანი კერუტ-მატულია, Πνεῦμα-ს აღნიშნავს და არა ἱστορία-ს, მისტერიალურ საიდუმლოს ინახავს, ოდესღაც მომხდარ ამბებს კი არ გადმოგვცემს, არამედ იმ ამბების მარადიულ საზრისს (διάνοια).<sup>26</sup>

23 შდრ. Lubac 1999: 67.  
 24 შდრ. „Primo omnium videamus, quae de ea secundum litteram referuntur [...] ut cum huiusmodi fundamenta iecerimus, ab historiae textu possimus ascendere. [...] historica interpretatio est veluti fundamentum“ (Origenes, GenCo II, 22, 16; 6, 36, 21).  
 25 ბიბლიის პერმენეტიკულ-ფილოლოგიურ კონცეფციაში გაერთიანებული იყო აღმოსავლური რწმენა სიტყვის შესახებ, რომელიც ორივენივე თავისი სამშობლოდან, ალექსანდრიიდან ათონისა და ტერმინოლოგიზების, ზოგადად, თეორიული, ცნებითი მეტყველების უაღრესად დახვეწილი ფორმა, რომელიც ბერძნული ფილოლოგიისა და რიტორიკის მონაპოვარია. აღმოსავლურ ტრადიციაში საკმაოდ ძლიერი იყო რწმენა სახელის პიპოსტაზური არსისა და ძალის (ბῦμας) შესახებ, რომელსაც ეფუძნება ეგვიპტოლოგიური სახელის სასწავლო; ეს უკანასკნელი კი ძველი აღთქმის ანთროპომორფიზმების განმარტების საფუძველია: სახელი შეიძლება ჩაენაცვლოს პიროვნებას, ზოგადად, რეალობას, ან თუნდაც ღმერთს. ამიტომაც სახელს აქებენ და ემსახურებიან (II სჯ. 18, 5, 7), მისი ქმნიათ (ესაია 59, 10), სახელს წმინდა-ყოფენ (გამოს. 20, 7), უფლის შიშს მის სახელზე გადაიტიანენ ხოლმე (გამოს. 20, 7), სახელი განითქმება (ფს. 43, 8), ან დაიწვევს მიეცემა (ფს. 43, 20), ღმერთის სახელის გაცხადება წინასწარმეტყველს შეუძლია (იერ. 33, 9), ღმერთის სახელის შეცნობა მის აღიარებას უდრის (ტობ. 5, 11; ფს. 9, 10), ღმერთის სახელი მოდის (ესაია 30, 27), მასში არის ძალა (ესაია 44, 5). სახელთა შესახებ აღმოსავლური რწმენა უდევს საფუძვლად ორივეს თეზას, რომ სახელი, აბსტრაქტიულიც კი, ისტორიის მატარებელია. თუმცა სახელთა შესახებ ეგვიპტოლოგიის ამოსავალი თეზა, აღმოსავლური ტრადიციისგან განსხვავებით, უარყოფს სახელის მაგიას; მართალია, ღმერთის სახელი „ითქმის“, მაგრამ იგი მინც მოუწვდომელი რჩება. ორივენი თეზისა და სახელის სასწავლოს შესახებ იხ. Lubac 1950, აქ გვ. 146.  
 26 ეგვიპტოლოგიის აზრით, ამ ამბების საზრისი, მათი მარადიულობა და არა

ბიბლიის სიმბოლურ-ალეგორიული მეტყველებისა და მისი გადატანითი, ტროპოლოგიური ინტენციის (τοῦτοι τριπολογίαι) წყალობით ისტორია ალეგორიად იქცევა (შდრ. Origenes, IoCo XX, 10, 337, 31: ἀλλήγοριον ἱστορίας); ალეგორია არ შეიძლება ისტორიულობას დაეფუძნოს. ბიბლიის კვლევისა და ინტერპრეტაციის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისტორია და ალეგორია ერთად აგებენ ახალ მნიშვნელობას. ამის კარგი ნიმუშია ბიბლიური სიტყვების ეტიმოლოგია, როგორც განმარტების მეთოდი, რომელიც ალეგორიის გარეშე წარმოუდგენელია. თუკი ეტიმოლოგია განმარტავს, რას აღნიშნავდა ესა თუ ის სიტყვა სხვა ადგილას, სხვა დროს და სხვა კონტექსტში, ალეგორია ქმნის, აგებს მოცემული კონტექსტის ახალ შინაარსს, ისტორიის პერსპექტივას. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ისტორიასა და ალეგორიას შორის მიმართება არის სწორედ ინსტრუმენტი, რომლითაც ახალი მნიშვნელობის კონსტრუირება ხდება.<sup>27</sup>

ეტიმოლოგიური და ალეგორიული განმარტებები, შესაბამისად, მოცემულ კონტექსტში ახალი მნიშვნელობის კონსტრუირება, ძველი ქართული ჰერმენევტიკულ-ფილოლოგიური ტრადიციის ყველაზე აქტიური მეთოდი; ქვემოთ განვიხილავ რამდენიმე მაგალითს.

ფსალმ. 102.5 „განახლდეს ვითარცა ორბისა სიჭაბუკე ჩუენი. ორბებრ განახლებითა ჩუენითა მოესწავების მადლი იგი აღდგომისაჲ, რამეთუ იგი მხოლოდ არს, რომელ დაუყენებლად მიადგამს თუალთა ბრწყინვალეებასა მზისასა; ეგრეთვე არს კაცი ცხოველთა შორის, რამეთუ უმეტეს ყოველთა დაბადებულთა შემძლებელ არს სიმაღლედ აღსლვად გონებითა და განცდად მზესა სიმართლისასა. კუალად განახლება არს მეორე იგი აღდგომაჲ ჩუენი. ხოლო აღმოგვიტხნავს არწივისათვის, ვითარმედ მესუთე წელსა კუალად განახლდების, რამეთუ დაძულებული იგი იმ მზისაჲ განჯურვებელი შთაჯდების წყალსა და განიყრის ფრთესა და განახლდების. ეგრეთვე კაცი განჯურდების ცეცხლითა სულისაჲთა და განისწავლების სიტყვთა მღუდელისაჲთა და შთაჯდების წყალსა ნათლისღებისასა, რაჲთა განიყაროს დაძულებული იგი კაცი და შეიმოსოს ქრისტეს მიერ განახლებული“.<sup>28</sup>

ფს. 101, 7. „ვემსგავსე მე ვარხუსა უდაბნე ოსასა. ვარხუსა ბერძულად მკოდელ ეწოდების, რომლითა მოესწავების სრულიად

ერთგზისობა ტექსტში გრამატიკულადაც ასახულია შესაბამისი ფორმით. ბიბლიური ამბავი მხოლოდ რეალ-ისტორიულ დონეზე არის ერთგვრადი, კერუტმატულ დონეზე ის მუდმივად ხდება. შდრ. μεταστρέψαι τὴν θύλασαν. οὐκ ἔπειτα „μεταστρέψαι“, ἀλλὰ „μεταστρέψαι“. κατὰ μὲν γὰρ τὴν ἱστορίαν ἐπὶ τὴν ἰουδαίαν ἦσαν ἔχοντες; κατὰ δὲ διάνοιαν δὲ τὸ τοῦτο συμβαίνει (Origenes, PsCo, 65, 6).  
 27 ისტორიისა და ალეგორიის მიმართებისთვის იხ. Barr 1967, განს. გვ. 30-46.  
 28 ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება, იხ. დობორჯგინიძე 1998: 62.

მოლოზებად ერისა მის ჰურიათადასა. და კუალად ბუსა ყორნად ლამისა სახელსდებენ [...] ვარხუად უდაბნოსა ქრისტესა უწოდს, რამეთუ მყრინველი ესე სიმაღლესა შინა ბუდებს, რამთა განარინნეს მართუენი თჳსნი გუელისაგან, რომელი-იგი უმზირს მოწყუედად. ოდეს იხილის გუელმან, ვერ მიეახლებს ბუდესა მისსა, იმსტურის ქარი, რომლისაჲმე კერძისა დაამქრის გესლი მისი, რომელ-იგი მიჰვინის ქარმან მართუეთა ზედა და მოსწყუდიან. ხოლო იხილნის რაჲ ვარხუდ მართუენი თჳსნი მომწყუდარნი, აღკდის სიმაღლესა ზედა ცისასა, ვიდრემდის მოიწყუნიან ცემითა ფერკთაჲთა გუერდნი მისნი, მოვიდის და დააწყუეთის სისხლი მართუეთა ზედა და განცხოველდიან. ვერეთე ყო ქრისტემან, აღსლვითა ჯუარსა ზედა სისხლითა გუერდისა მისისაჲთა ცხოველ-ყო ბუნებაჲ კაცთაჲ მომწყუდარი".<sup>29</sup>

ზემოთგანხილული ეგზეგეტიკურ-ჰერმენევტიკული მიზანდასახულების (ძველი და ახალი აღთქმის ერთანობის ჩვენება) გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იქნებოდა ალევორიისა და ეტიმოლოგიის კავშირის, ანუ მნიშვნელობის კონსტრუირების, როგორც ისტორიულად შეპირობებული მეთოდის, არსისა და ფუნქციის განსაზღვრა; იმის დადგენა, რომელ სფეროს ეკუთვნის ეგზეგეტიკაში ინტენსიურად გამოყენებული ეტიმოლოგიური და ალევორიული ძიებანი.

როგორც მაგალითებიდან ვნახეთ, ბიბლიური ალევორია უფრო განმარტების საშუალებაა, ვიდრე მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების; მისი მიზანია არა მშვენიერის ესთეტიკური ხატის შექმნა, როგორც ეს ანტიკური ალევორიულ-ტროპოლოგიური მეტყველების შემთხვევაში, არამედ სიტყვის სახეობრივი ზედაპირით დაფარული ნამდვილი მნიშვნელობის ახსნა-განმარტება, ყოველგვარი ტროპოლოგიური მეტყველების ძირითადი საზრისის გაცხადება. ქრისტეს ალევორიები, როგორც, მაგალითად, მატლი, სულაც არ ქმნის მშვენიერის ასოციაციას, მაგრამ იგი მაქსიმალური სიზუსტით ხსნის ქრისტეს შობას „არა თესლისაგან“. შდრ. „ქრისტე მატლად იაკობისად სახელ-იდუბის ამისათჳს, რამეთუ მატლი, დაღათუ მცირე არს, არამედ განმლეველ იქნების დიდისა გუამისა და არა ზიარებითა თესლთაჲთა, არამედ თავით თჳსით აღმოიშობვის გუამსა შინა. ესრეთე იყო შობაჲ ქრისტესი".<sup>30</sup>

მსგავსი მიზანი აქვს ბიბლიის სიტყვათა ეტიმოლოგიურ-სემანტიკურ ანალიზსაც; იგი ჰერმენევტიკის ნაწილია და არა ლინგვისტიკის. ენათმეცნიერება მეტისმეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ამგვარ განმარტებებს, რომლებიც ლინგვის-

29 იქვე, გვ. 63.

30 შდრ. ფსალმუნთა თარგმანებს, იხ. დობორჯგინიძე 2000: 66.

ტური თვალსაზრისით ხშირ შემთხვევაში არა მარტო მცდარია, არამედ პრინციპულად გაუმართლებელი: ეტიმოლოგიით კი არ იხსნება ალევორია, პირიქით, სიტყვამ რომ გარკვეულ კონტექსტში ალევორიული მნიშვნელობა შეიძინა, მასზე დაყრდნობით იხსნება ეტიმოლოგია. სწორედ ამგვარი „შებრუნებული“ მეთოდითაა განმარტებული ბიბლიური სახელი ევა. შდრ. გველისაგან მოჯადოებული ბაკები მისტერიის დროს ყვირიან: ევა, ევა; იგი ნიშნავს გველს, რომლის მეშვეობითაც ცოდვა შემოვიდა ადამიანის ცხოვრებაში. და ევა ებრაულში მდებდრობითი სქესის გველს აღნიშნავს.<sup>31</sup>

ჰერმენევტიკული მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ეგზეგეტიკური სკოლა ამა თუ იმ სიტყვისთვის სრულიად განსხვავებულ ეტიმოლოგიას ამკვიდრებდა. მაგალითად, ეგვიპტის ეტიმოლოგია ერთი ტრადიციით უკავშირდება კოსმოსს, წესრიგს (ბ აბოჲ), მეორე ტრადიციით — სიბნელეს (თაოტ); მესამე ტრადიციას ცდილობს, ერთმანეთს დაუკავშიროს პირველი ორი მოსაზრება და ეტიმოლოგიის ახალ, უფრო სრულ ვარიანტს გვთავაზობს: ეგვიპტე არის სამყარო, რომელშიც ცოდვა ბინადრობს, ე. ი. არის სიბნელე, რომელსაც მოველინება „ნათელი სოფლისაჲ (ბ დად თიხ აბოჲს); მანამდე კი იგი არის ბოროტების, ცუდის ადგილსამყოფელი (ἐν τῷ καίμεινος κατὰστασις τῆς κακίας).<sup>32</sup>

ბიბლიის სიტყვის ეტიმოლოგიურ-სემანტიკურ ანალიზს ძველ ქართულ ეგზეგეტიკურ კრებულებშიც მსგავსი მიზანდასახულება აქვს: არა ლინგვისტური ინტერესი, არამედ სიტყვაში „გულისგმყოფილი“ აზრის გაცხადება, განმარტება. შესაბამისად, ძველ ქართველ მთარგმნელთა ლექსიკოლოგიურ-ეტიმოლოგიური კომენტარები პირველ ყოვლისა, ეგზეგეტიკის პირველწყაროებია. სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს მათი მნიშვნელობა საკუთრივ ენობრივ საკითხთა კვლევის ისტორიისთვის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნათარგმნ ეტიმოლოგიებში (ებრაული, ბერძნული, ლათინური, სირიული სიტყვების განმარტებები)<sup>33</sup> უფრო დედნიდან გადმოყოლილი ეგზეგეტიკურ-ჰერმენევტიკული ტენდენციები ჭარბობს; რაც შეეხება საკუთრივ ქართული სიტყვების ახსნა-განმარტებებსა და ეტი-

31 ეს ეტიმოლოგია, რომელიც პირველად ორიგენესთან დასტურდება, საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს როგორც აღმოსავლურ (თეოდორიტი კვირისელი, თეოდორე მოფსუსტი, დიდიმუსი) ისე დასავლურ (პირონიმი, კასიოდორე) ეგზეგეტიკურ ტრადიციაში. ალევორიისა და ეტიმოლოგიის მეთოდოლოგიური „კავშირებისა“ და კონკრეტულ ავტორებთან მათი გამოყენების თავისებურებათა შესახებ იხ. Bienen 1972.

32 ამ ტიპის ეტიმოლოგიური განმარტებები, როგორც ბერძნული, ასევე ქართული იხ. დობორჯგინიძე 1998: 67-72; 86-102; დობორჯგინიძე 2001: 188-194.

33 Doborjginidze 2009: 110-118.

მოლოგიებს, მათი უმეტესობა ზუსტია და დღემდე ინარჩუნებს სამეცნიერო ღირებულებას. ამის საუკეთესო მაგალითია ყველის ეტიმოლოგია, რომელიც, სავარაუდოდ, ეფრემ მცირეს ეკუთვნის; როგორც ეფრემის სხვა განმარტებები, ესეც უნაკლოა მეთოდოლოგიური გამართულობისა თუ ენობრივი აღლოს თვალსაზრისით. შდრ. ყველი [მთაჲ შეყოფილი]: მთაჲ ღმრთისაჲ, მთაჲ პოხილი, მთაჲ შეყოფილი. მთა ღმრთისა ეწოდების მორწმუნეთა ეკლესიასა, მთად, რამეთუ მაღლად მდგომარე არს ქუეყანიერთა და აღპყრობილ არს იგი ზეცად მიმართ. ხოლო მთა ღმრთისა, ვითარცა განკუთვნილი და განთესებული ღმრთისა; და პოხილ უხუებისათჳს და ჰაეროვნებისა მას შინა მყოფთა სჯულიერთა საძოვართა და შეყოფილ და განყველებულ გონიერებისათჳს და სიმტკიცისა მას შინა მყოფთა სჯულთა სარწმუნოებისათა, რამეთუ ყუელი შეყოფილი არს, შედგენილი და განამარტებული.<sup>34</sup>

მომავალში ქართველ მთარგმნელ-რედაქტორთა ამ ტიპის კომენტარების გამოწველილვით შესწავლა გაარკვევს, შედარებითი ანალიზის რა მოდელები, ტოპოსები, განმარტებათა განსხვავებული ფორმები შეიძუშავეს მათ და, შესაბამისად, რით გააამდიდრეს შუა საუკუნეების ეგზეგეტიკური, მხატვრულ-ესთეტიკური თუ ენობრივ-გამომსახველობითი ტრადიცია.

**ბიბლიოგრაფია**

დობორჯგინიძე 1996 (1, 2): ნინო დობორჯგინიძე, *ფსალმუნთა განმარტება. სიტყუანი ფსალმუნთანი, შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებილი მრავალთა წიგნთაგან*. უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ნინო დობორჯგინიძემ, ტ. 1, 2, თბილისი

დობორჯგინიძე 1998: ნინო დობორჯგინიძე, *ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება და ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების ისტორიის საკითხები*, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

დობორჯგინიძე 2000: ნინო დობორჯგინიძე, *ბიბლიური ტექსტის ინტერპრეტაციის ბერძნული ტრადიცია და ძველი ქართული ეგზეგეტიკური მწერლობის კომენტარი*, იხ. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია*. მოხსენებათა მასალები, გვ. 63-67, რედ. ა. გომართელი და სხვები, თბილისი.

დობორჯგინიძე 2001: ნინო დობორჯგინიძე, *ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური ხასიათის კომენტარები "ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანებიდან"*, იხ. *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, ტ. 30, გვ. 188-194, რედ. კ. დანელია, თბილისი.

თვალთვაძე 2009: დარეჯან თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, თბილისი

ყაუხჩიშვილი 1940: *იოვან პეტრიწის შრომები*. ტომი I. *პროკლე დიალოხოსისა პლატონურისა ფილოსოფიისა კავშირნი*. ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი

შანიძე 1968: მზექალა შანიძე, *ფსალმუნთა თარგმანების შესავალი: უწყება მიზეზსა და ვითარებასა, და თხრობაჲ წესსა და საგმარებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ*, იხ. *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 11 (1968), რედ. ა. შანიძე, გვ. 77-122, თბილისი

ხარანაული 2005: ანა ხარანაული, *ძველი აღთქმის ხანმეტი ფრაგმენტები და ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიის საკითხები*. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი

Barr 1967: James Barr, *Alt und Neu in der biblischen Ueberlieferung*, München

Bienert 1972: Bienert, Wolfgang, *Allegoria und Anagoge bei Didimus dem Blinden von Alexandria (=Patristische Texte und Studien 13)*, Berlin, New York: De Gruyter

Doborjginidze 1999: Doborjginidze, Nino, *Grammatisch-sprachwissenschaftliche Kommentare aus den allgeorgischen Psalmenkatenen*, in: *Georgica*, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens, 22, S. 91-99, Jena // Konstanz // Aachen

Doborjginidze 2009: Doborjginidze, Nino, *Die georgische Sprache im Mittelalter (=Sprachen und Kulturen des christlichen Orients, Bd. 17)*, hrsg. v. Johannes den Heijer, Stephen Emmel, Martin Krause, Andrea Schmidt, Wiesbaden: Reichert Verlag

Dörrie u. a. 1966: Dörrie, Heinrich u. a., *Porphyre. Huit exposés suivis de discussions*. Fondation Hardt, Genève (Entretiens sur l'Antiquité classique, 12).

Dörrie 1974 – Dörrie, Eduard, *Zur Methodik antiker Exegese*, in: *Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft und die Kunde der älteren Kirche* 65, S. 121-138, Berlin: de Gruyter

Edwards 2007: Edwards, Mark, *Porphyry and the Christians*, in: George Karamanolis, Anne Sheppard (Hrsg.): *Studies on Porphyry*, p. 111-126, Institute of Classical Studies, London.

Englisch 1994;

Göglér 1963: Goegler, Rolf, *Zur Theologie des biblischen Wortes bei Origenes*, Duesseldorf: Patmos-Verlag;

Jones 1945: Jones Leslie, W. *The Influence of Cassiodorus on Medieval Culture. Speculum: a Journal of Medieval Studies* XX, p. 433-442, Cambridge

Hieronimus / Hilberg 1996: Hilberg, Isidorus, *Hieronimus, Epistulae*, ed. I. Hilberg (=Corpus Scriptorum Ecclesiasticorum Latinorum 54, Wien

Jori 2005: Alberto Jori, *Die Paradoxien des menschlichen Selbstbewusstseins und die notwendige Existenz Gottes - Zu 'Cogitatio' und 'Intellectus' im Streit zwischen Anselm und Gaunilo*, in: C. Viola and J. Kormos (ed.), *Rationality from Saint Augustine to Saint Anselm. Proceedings of the International Anselm Conference - Piliscsaba (Hungary) 20-23 June 2002*, S. 197-210, Piliscsaba

34 ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება, ფსალმ. 67, 15, იხ. დობორჯგინიძე 1998: 93.

- Lubac 1950: Lubac, Henri de, *Histoire et esprit: L'intelligence de l'écriture d'après Origène*. Paris: Aubier, Ed. Montaigne
- Lubac, Henri, de 1999: *Typologie – Allegorie – geistiger Sinn: Studien zur Geschichte der christlichen Schriftauslegung (Theologia Romanica 23)*, Einsiedeln.
- Lubac 2000: Lubac, Henri, de, *The four senses of Scripture (=Medieval exegesis, Vol. 2)*, Grand Rapids, Mich.: Eerdmans [u.a.].
- Neuschäfer 1987 (1, 2) – Neuschäfer, Bernhard, *Origenes als Philologe*, (–Schweizerische Beiträge zur Altertumswissenschaft ; 18,1, 2), Bd. 1, 2, Basel : Reinhardt
- Schäublin [u.a.] 1974: Schäublin, Christoph, *Untersuchungen zu Methode und Herkunft der antiochenischen Exegese*, Köln: Hanstein
- Schäublin 1992: Zur paganen Prägung der christlichen Exegese, კრებულში: *Christliche Exegese zwischen Nicaea und Chalcedon*, hrsg. von J. van Oort u. U. Wickert, S. 132-173, Kampen: Kok Pharos Publ. House
- Schäublin 2005: Schäublin, Christoph, *Aus paganer und christlicher Antike : ausgewählte Aufsätze zur klassischen Philologie (1970 - 1997)*, Basel: Schwabe
- Schlieben [u.a.] 1974: Schlieben, Reinhard, *Christliche Theologie und Philologie in der Spätantike: Die schulwissenschaftlichen Methoden der Psalmenexegese Cassiodors*, Berlin: de Gruyter
- Schlunk 1993: Schlunk, Robin R., *Porphyry: The Homeric Questions*. Peter Lang, New York.
- Stead 1992: Stead, Christopher, Athanasios als Exeget, კრებულში: *Christliche Exegese zwischen Nicaea und Chalcedon*, hrsg. von J. van Oort u. U. Wickert, S. 174-189, Kampen: Kok Pharos Publ. House